



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

საკრებულოს სკოლაში

რა ღირს შენობა-ნაგებობის მესალოატაციაში მიღების ნებართვა?

მარი კოპოვიძე



2000, სამ დღეში გასაცემად 1500, ხოლო ხუთ დღეში გასაცემად 500 ლარია გადასახდელი. როცა სამშენებლო ფართი არ აღემატება 6000 კვადრატულ მეტრს, ნებართვისთვის ერთი დღის ვადაში 2500, სამი დღის ვადაში 1500 და ხუთი დღის ვადაში 1000 ლარია გადასახდელი.

1 თებერვალს საკრებულოს სხდომაზე სულ რვა საკითხი განიხილეს და დაამტკიცეს. მათ შორის ერთ-ერთი მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის ოდენობის დადგენა იყო.

საკრებულომ დაადგინა, როცა შენობა ნაგებობის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 300 მეტრ კვადრატს, მაშინ მეპატრონემ ნებართვის ერთ დღეში მისაღებად 1000, ხოლო სამ დღეში მისაღებად 500 ლარი უნდა გადაიხადოს.

1500 კვადრატულ მეტრამდე და მიწის ზედაპირიდან 14მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობისთვის ნებართვის ერთ დღეში გასაცემად

რაც შეეხება შენობა-ნაგებობას, რომლის საერთო სამშენებლო ფართი აღემატება 6000 კვადრატულ მეტრს, მისი ექსპლოატაციაში მიღების ნებართვისთვის ერთ დღეში 4500, ხუთ დღეში 2500, ხოლო ხოლო ათ დღეში 1000 ლარია საჭირო.

მეღეკლეურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ ხინთიბიძემ სოფლის პროგრამების ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებში სოფლის ბაგა-ბაღის გარემონტების საკითხი დააყენა. საკრებულოს თავმჯდომარემ მას უპასუხა, რომ სოფელს უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს რას მოახმაროს გამოყოფილი თანხა.

მეთაური

ოზურგეთელი ალექსანდრე ტულუში პასტანგ ბორბასლის I ხარისხის ორდენით დააჯილდოეს

ნუზგარ ასათიანი

საქართველოს პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტის დროს საქართველოს ტელევიზიის ყველა არხი უზენებდა ვაშინგტონში, ამერიკის სამხედრო ცენტრში ავღანეთში დაჭრილი მეთაურის, ოზურგეთელი ვიცე-პოლკოვნიკ ალექსანდრე ტულუშის ვაჟტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოებას. პრეზიდენტმა მას ეს ჯილდო პოსტალურად გადასცა. ალექს (ასე ეძახიან ამერიკელები) ტულუში ვაჟტანგ გორგასლის ყველა ხარისხის ორდენის კავალერია. მას გენერალ კვინიკაძის მედალი, ერაყში სამსახურის დროს „ჯორჯ ბუშის ვარსკვლავი“ და სხვა საბრძოლო ჯილდოებიც აქვს მიღებული.


—არ ვფიქრობდი ალექო სამხედრო განდებოდა. ჩვენს ოჯახს II მსოფლიო ომთან დიდი ტკივილი აკავშირებს. ალექოს ბაბუა სანდროს ხუთი უფროსი ძმა იბრძოდა ამ ომში და მხოლოდ ერთი დაბრუნდა ცოცხალი. (ამ თემაზე ჩვენი გაზეთი წერდა 1975 წლის 3 აპრილის ნომერში). ამ ომმა შეიწირა ჩემი მხრიდან ალექოს ბაბუას ორი ძმა. ალბათ მათმა თავდადება გაუღვიძა ჩემს შვილს მხედრული სული,— გვიყვება ალექსანდრეს დედა, სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლის გეოგრაფია-ბუნებათმცოდნეობის მასწავლებელი თინა გოგუაძე. ზაზა დამენიას და ხათუნა ჩემს შვილთან სწავლობდა და აქედან მეგობრობდნენ ალექო და ზაზა. ალექოს ძალიან უყვარდა საქართველოს ისტორია, ქართული პოეზია, განსაკუთრებით ლაღო

ასათიანი. საოცრად მიზანდასახული და მტკიცე იყო და ეს ხასიათი გაყვა შემდეგაც.

ანასუელის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა. იმ პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაცვლითი პროგრამა ჰქონდა რუსეთში და ალექსანდრე პეტერბურგში, სამხედრო აკადემიაში ჩაირიცხა. სამი წელი იქ სწავლობდა, ერთი წელი მოსკოვში. შემდეგ რუსეთთან ურთიერთობა დაიძაბა და იძულებული გახდა საქართველოში დაესრულებინა სწავლა. სწავლის დასრულების შემდეგ, კოჯრის სწრაფი რეაგირების ბატალიონში მსახურობდა, ოპერატიული სამსახურის უფროსი იყო. შემდეგ კოსოვოში წავიდა, იქაც ოპერატიულ სამსახურს ხელმძღვანელობდა. იქედან ჩამოსული ქუთაისში იყო ერთ-ერთი ბატალიონის უფროსი.

საქართველოში რუსეთთან ორთავე ომის მონაწილეა. 2004 წელს, როცა მისი მეგობარი ზაზა დამენია გმირულად დაიღუპა, ალექსანდრეც ცხინვალთან იყო, ოღონდ სხვა ადგილას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდა, ბრძოლის წინა ზაზზე.

ორჯერ იყო ალექო ერაყში. წითელ ზოლში მსახურობდა, დაგეგმარების უფროსი იყო. როგორც გონიერმა მეთაურმა ამერიკელი გენერლის დევიდ პეტრეუსის ყურადღებაც დაიმსახურა.



გვ-2



(მარჯვნიდან) ბიძა, პოლკოვნიკი ზაურ გორგიჯანი, მამიდა მაგული ტულუში, ალექსანდრე ტულუში, მამიდაშვილი ლექსო გორგიჯანი, მამა ზურაბ ტულუში.

ბააკვირებენ თუ არა ვალერი ჩიტაიშვილს მოსწავლეები?

მარი კოპოვიძე



გურიის გუბერნატორი, ვალერი ჩიტაიშვილი ოზურგეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შეხვდა. შეხვედრა, რომელიც 31 იანვარს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შედგა, მოსწავლეების მიერ იყო ინიცირებული.

ბავშვებმა მხარის პირველ პირს მათთვის საინტერესო კითხვები დაუსვეს და იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომლებიც მათი თქმით ოზურგეთში ყველაზე აქტუალურია. მოსწავლეები ამბობდნენ, რომ ოზურგეთელ ახალგაზრდებს გართობის საშუალება არ აქვთ. თქვენ რომ ჩვენი ასაკის იყოს სად წახვიდოდით გასართობად? ოზურგეთში კინოც კი არ ფუნქციონირებს,— უთხრეს ჩიტაიშვილს.

—თეატრი ხომ ფუნქციონირებს, დადიხართ სპექტაკლებზე? თავის მხრივ კითხა ბავშვებს გუბერნატორმა და თეატრის არსებობასთან ერთად სპორტის განვითარების ცენტრის არსებობაც შეახსენა.

ვალერი ჩიტაიშვილმა ახალგაზრდებს მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა. „უფრო მეტად აქტიურები და ინიციატივიანები უნდა იყოთ. თუ კარგი იდეები გექნებათ მათ განხორციელებაში დაგვეხმარებით. თქვენ და თქვენმა მეგობრებმა ვინც ახლა აქ არ არიან დაწერეთ პროექტები და ყველაზე კარგ პროექტს დავაფინანსებთ. აბა ვნახოთ თუ გამაკვირვებთ კარგი პროექტებით.“— უთხრა ბავშვებს გუბერნატორმა. შეხვედრის ბოლოს ერთგვარი შეთანხმებაც კი დაიდო, რომ ზუსტად ერთ თვეში იმავე დარბაზში ისევ შეიკრიბებიან მოსწავლეები და წარმოადგენენ პროექტებს, რომელთაგან საუკეთესო დაფინანსდება.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გუბერნატორმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრებისთვის ყოველთვის მზადაა.

მოსწავლეებს გუბერნატორთან ერთად ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე, ალექო მამეშვილი და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი მაია თანდილაშვილი შეხვდნენ.

შეხვედრა ჟურნალისტებთან



დამსწრეთ. შემდეგ ჟურნალისტთა კონკურსზე, საგადასახადო კანონში ცვლილებებზე ისაუბრა, რომელიც საგრანტო თანხებზე სახელმწიფო დახმარების შესახებ ცვლილებებს შეეხება. ამიერიდან გრანტების გამცემ სუბიექტებს სამინისტროები დაემატა.

ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენლები ოზურგეთელ ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდნენ.

ამ ინსტიტუტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თემურ ჯალაიაშვილმა აჭარის, გურიის და სამეგრელოს გაზეთებში ჩატარებული კვლევების მასალები გააცნო

რისტა ასოციაციის“ ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელს თამაზ ტრაპაიძეს გაუჩნდათ კითხვები, გრანტების გაცემის ახალი წესი, ხომ არ შეიცავს საფრთხეს არასამთავრობო ორგანიზაციები მოექცნენ სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, რასაც ნაწილობრივ, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ.

7 დღის აზინდის პროგნოზი

მზი +3+12	მზი +5+13	მზი +6+13	წვიმიანი თოვლი -2+6	წვიმიანი თოვლი -2+5	წვიმიანი თოვლი -3+4	თოვლი -5+6
6 თებერვალი, ორშაბათი	7 თებერვალი, სამშაბათი	8 თებერვალი, ოთხშაბათი	9 თებერვალი, ხუთშაბათი	10 თებერვალი, პარასკევი	11 თებერვალი, შაბათი	12 თებერვალი, კვირა

მზიანი ღამე ჩოხატაურში

წიგნის ასათიანი



გარშემო ესაუბრა:

—წარმოშობით სოფ. წიფნარიდან ვარ. ბაბუა-სამსონ ანდლულაძე ერქომაიშვილის გუნდში მღეროდა. გურულ სიმღერაში გავიზარდე. ბაბუას გარდა სოფელში კარგად მღეროდნენ პროკობი, ილიკო ანდლულაძეები. ხალხური სიმღერები—ეს იყო ჩემი ცხოვრების აკადემია. დავამთავრე კონხარის სკოლა, სკოლაში ფანქრით ვხატავდი თანაკლასელებს. ეს ნამუშევრები იყო იმ დონის, რომელზეც ვამბობდი: ჰვავს? ცხვირი კი... და ა.შ. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, თავიდან არ მიფიქრია მხატვრობაზე, ბოლოს გადავწყვიტე მოსე თოძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ჩამებარებინა გამოცდები. ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ ჩოხატაურის სამხატვრო სკოლაში დავიწვე მუშაობა. ეს მცირე ხანი იყო. შემდეგ ხუთი წელი აღ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე ვსწავლობდი. როგორც სკოლა, ისე სასწავლებლები წარჩინებით დავამთავრე. 1988 წელს ჩოხატაურის კულტურის სახლში ქეთევან კუკულავას ინიციატივით ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა. შემდეგ 9 აპრილი იყო, სამოქალაქო ომი და ადგილის დედას დავუბრუნდი. დავბრუნდი სამხატვრო სკოლაში. უკვე 15 წელია ამ სკოლის დირექტორი ვარ. გურიის ყოფილი გუბერნატორის რამაზ ნიკოლაიშვილის თანადგომით სკოლა გავარემონტეთ და დღეს აქ სწავლის კარგი პირობებია...

სასწავლებელში ყოფნისას ჩემი პედაგოგი დინა დავითაშვილი მეუბნებოდა:—იცო, ჩოხატაურში, ერთ-ერთ სოფელში კარგი მხატვარი—ეთერ კალანდარიშვილი ცხოვრობს, აუცილებლად ნახე და მის ხელოვნებას გაეცანიო. გადიოდა წლები, მე ამას ვერ ვახერხებდი. შემდეგ სოფ. იანეულში გავთხოვდი და.. ეს ქალბატონი ჩემი მეზობელი აღმოჩნდა. საოცარი ქალბატონი იყო, „დაკარგული“ დიდ ცოდნაში. მან ჩამიტარა მასტერ-კლასი და დიდი გავლენა იქონია ჩემს შემდეგ შემოქმედებაზე. საოცარია, ამ დონის მხატვარს, თითქმის არ იცნობდა საზოგადოება...მისი შთამომავლობა გერმანიაში ცხოვრობს, შვილიშვილი მხატვარია. ბოლოს მარტო იყო და რომ გარდაიცვალა, მისი ბუერის ნამუშევარი დაიკარგა. მე ამჟამად მის 100-მდე ნამუშევარი მაქვს დაცული.

რაც შეეხება თექას, მასზე მუშაობა გვიან დავიწვე. მქონდა სურვილი, მაგრამ არ ვიცნობდი თექის ტექნიკას. თექა ძალიან ფაქიზია. ჩემმა აღზრდილმა თამუნა ხაყალიამ შემეყვანა თექის სამყაროში... * * *

მართლაც, ფერწერულ ტილოებთან ერთად, თექაზე შესრულებულ ღრმამინარსიან ნამუშევრებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მზიას შემოქმედებაში. მოწონებას იმსახურებს მისი „ნიკალა“, რომელიც



„ნიკალა“ (თექა)

უფრო ნათელია და მის ნამუშევრებში ბახმაროს დევივით ბუმბერაზ მთებს შორისაც, მზის ნათელს დაინახავ. მზე კი სიცოცხლეა. ამათადაც თანამართილა:—მზია კვინტარაძე ჩემთვის აღმოჩენაა. ძალზე საინტერესო, ნიჭიერი ფერმწერია, რომლის მხატვრობა ჩემში დიდ შემოქმედებით იპულსებს იწვევს. იშვიათია კარგი შემოქმედი კარგი ორგანიზატორიც იყოს, მაგრამ მზია ამ ორ მოვალეობას სანიმუშოდ ართმევს თავს. ჩვენ გვაქვს როგორც კოლექტიური თანამშრომლობა, ასევე შემოქმედებითი ურთიერთობები. მზიას პიროვნული ძალისხმევა ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია ჩოხატაურის სახვითი ხელოვნების წარმოჩენის და განვითარების საქმეში.

თამაზ დარჩია:—მე არ მეგულება ქართველი მხატვარი ქალი ასეთი გაბეული, ასეთი თავისუფალი, მოაზროვნე ფერწერაში. ფერწერა ფერით მეტყველების ხელოვნებაა და ამ ენას მაღალოსტატურად



„ბუთის დედა“ (თექა)



„ბუთის მთები“ (ტილო, ზამთი).

ფლობს იგი. საუკეთესო მეგობარია, საუკეთესო ოჯახი აქვს, ამასთან ერთად კარგი ორგანიზატორი და კარგი ხელმძღვანელია. ის არის გურიის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი და თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს. გურიის მხატვართა განყოფილების გამგეობა, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი გულითადად ულოცავს მის პერსონალურ გამოფენას და უსურვებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს მომავალ სარბიელზე.

„მედ-ალფას“ კლინიკაში ექიმთა პროტესტი შეჩერდა...

გაზეთი „ალიონი“



26/01/2012 12:25

გაზეთი „ალიონი“ წერდა სამედიცინო ცენტრ „მედ-ალფას“ კლინიკაში 30 ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ ხელმოწერილი საპროტესტო წერილის შესახებ. წერილს მოჰყვა „მედ-ალფას“ გენერალური დირექტორის ზაზა ჯაფარიძის ჩამოსვლა ოზურგეთში და წერილის ხელმოწერებთან შეხვედრა. ექიმთა მთავარი პროტესტის თემა მათთვის ხელფასიდან დამატებით 20%-იანი დაქვითვა იყო, რასაც „მედ-ალფას“ მეპატრონენი კლინიკის დიდი ხარჯებით ხსნიდნენ. ექიმები ამასთანავე „მედ-ალფას“ მეპატრონეებს დამამტკიცებელ მოპყრობასაც უჩიოდნენ. როგორც გაიგეთ, „ჟურნალისტიკა“ როგორ მომისიეთო, „გაცეცხლებულმა“ ჯაფარიძემ რვა ექიმს გამოუტანა სამსახურიდან დათხოვნის ვერდიქტი, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და ყველანი სამსახურში დააბრუნა. ჯაფარიძემ საბოლოოდ კლინიკის ეკონომისტი ირაკლი სირაძე გაათავისუფლა...

როგორც იცით, „ავერსი“ როგორც სააფთიაქო ქსელის, ისე კლინიკის და სადაზღვევო კომპანიის მფლობელია. იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სადაზღვევო პოლისი არ აქვთ და სოციალურად შეჭირვებულები არიან, კლინიკის ფასები ხელმოუწველმოქალია.

მუნიციპალური ალტერნატიული კლინიკა კი არ არსებობს. ბუნებრივია, იქ სადაც ალტერნატივა არ არის და დარგი მონოპოლიზირებულია, იქ კაპიტალისტი მაღალ ფასებს სთავაზობს საზოგადოებას...

ოზურგეთში გათავისუფლების თემა ამით არ ამოწურულა და „ავერსმა“ მათი სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლობის ოზურგეთის ხელმძღვანელი, ფრიად განათლებული ექიმი დავით მახარაძეც კი გაათავისუფლა.

ტრადიციული ტურნირი

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ბოლო წლებში, საშობაოდ საჭადრაკო ტურნირი ტარდება, რომელიც თანდათან პოპულარული ხდება. ამ ტურნირის ისტორიის შესახებ თეატრის მსახიობი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი ჯემალ კვჭავამაძე გვესაუბრა:



—საჭადრაკო ტურნირების ისტორია ოზურგეთის თეატრში ორ ათეულ წელზე მეტს ითვლის. თავდაპირველად ეს ტურნირები სახელობითი იყო. მაგ. ბეჟან ნაკაიძის ხსოვნის, ლამარა თურმანიძის, რომან ლომინაძის სახელობის და ა.შ. 5 წელია საშობაო ტურნირებს ვატარებთ. თავდაპირველად პოლიციის თანამშრომლებმა გამოთქვეს ტურნირში მონაწილეობის სურვილი, შემდეგ—განათლების რესურსცენტრმა.

წელს სამედიცინო ცენტრ „მედ-ალფას“ მთავარმა ექიმმა კლინიკურ დარგში დავით მდინარაძემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ ტურნირში სამედიცინო ცენტრის ექიმებს მიეღოთ მონაწილეობა. მართლაც, ოზურგეთელთათვის ცნობილი ახალგაზრდა ექიმები დავით დოლიძე, ნესტორ თოიძე და გივი ნინიძე გვესტუმრნენ. მათ თეატრის გუნდს (ბახვა ოთხმეზური, ჯემალ კვჭავამაძე, ომარ ურუშაძე) სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. მართალია დამარცხდნენ, მაგრამ კარგი თამაში აჩვენეს. ტურნირის გამოცდილი მსაჯი, ოზურგეთის საჭადრაკო კლუბის პედაგოგი ელგუჯა ურუშაძე სჯიდა.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ თეატრის დირექტორს, ამ ტურნირის ერთ-ერთ დამფუძნებელს ზაზა ჯინჭარაძეს თანადგომისათვის.



31/01/2012 19:08

პროექტის ფარგლებში



ოზურგეთის რაიონულმა პროკურატურამ პროექტის, საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში რეგიონის სკოლების საფეხურით ტურნირი მოაწყო. მასში ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის სკოლათა გუნდები ორი კვირის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ, ფინალისკენ გზა

ქ. ოზურგეთის №4 და ქ. ლანჩხუთის სასულიერო გიმნაზიის გუნდებს გაიკვლიეს. გასულ შაბათს ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრში ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში მცირე უპირატესობით (1:0) ლანჩხუთელებმა გაიმარჯვეს. მათ ოზურგეთის რაიონული პროკურატურის სტაჟიორმა პროკურატორმა ირაკლი მინაშვილმა გადასცა თასი. ასევე ორთავე გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ნიკა ნარიაშვილი (ლანჩხუთი) და გიორგი ჯავახიშვილი (ოზურგეთი) სპეციალური დიპლომებით დააჯილდოვეს. ირაკლი მინაშვილმა აღნიშნა, რომ ოზურგეთის რაიონული პროკურატურა პროექტის ფარგლებში ყოველკვირულად ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

ომარ ხელაძე



ოზურგეთს ამშვენებდა მასზე უზომოდ შეფარებული, ნაღდი ოზურგეთელი და ოზურგეთის ნამდვილი კოლორიტი, ბატონი ომარ ხელაძე.

უმძლესი კონიომიკური განათლების მიღების შემდეგ, იგი სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე იმყოფებოდა და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას. იგი ლამაზი კაცი იყო, ლამაზი არამარტო სამსახურებრივი საქმიანობის დამაზად შესრულებითა და გარეგნული შესახედაობით, არამედ შინაგანი სულიერი სამყაროთი-სიკეთის თვისებით, სითბოთი, ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობითა და სიყვარულით. მოუხედავად იმისა, რომ იგი მრავალ საპასუხისმგებლო, როულ სამუშაოებზე (საქაჯრობის მმართველი, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, ბაზვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ოზურგეთის შემფუთავი ქარხნის

დირექტორი, რაიკოპაკემირის გამგეობის თავმჯდომარე) მუშაობდა, მაინც ასერხებდა მისთვის საფარული ადამიანების გვერდით ღვომას. მისი ადამიანური ღირსება იმაში გამოიხატებოდა, რომ დახმარებოდა სანათესაოს, სამგობროს, ყველას, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა. ამასთან, ძალიან უბრალო ადამიანი იყო. მქონდა ბედნიერება, მილიანად დავრწმუნებულ იყავი ამაში, როცა იგი სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ მუშაობდა და ამავე პერიოდში სოფლის პროკავშირულ ორგანიზაციას ეხელმძღვანელობდა. როცა ის სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, ცრემლებით გაგაცივლო.

ბატონმა ომარმა მის ღირსეულ, ერთგულ მეუღლესთან, ქალბატონ ნანულისთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი, აღზარდა შესანიშნავი შვილები-ქალ-ვაჟი, რომლებიც დაოჯახებულნი, დასაქმებულნი არიან და ავტორიტეტით სარგებლობენ საზოგადოებაში.

ომარ ხელაძე იყო ყოველმხრივ საყვარელი პიროვნება, მასთან ურთიერთობა მაროლაყ დიდი სკოლა იყო. უღამაზესი ოჯახის თავგაკის, უღალატო მეგობრის, ყველასათვის საყვარელი და მასობელი ადამიანი-ომარ ხელაძის სახელი, არასდროს ამოიშლებს როგორც ოჯახის, ისე მისი სანათესაოს, მეგობრებისა და ახლობლების მესხიერებად.

მეგობრებისა და ახლობლების სახელით, **ამირან მაგულაიშვილი.**

ყურადღება!

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრთან შეიქმნა გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი სალოტბარო სტუდია. სტუდიაში მიიღებიან 20-35 წლამდე შესაბამისი მონაცემების მქონე ახალგაზრდები (მამაკაცებს გავლილი უნდა ჰქონდეთ სამხედრო სავალდებულო სამსახური). სტუდია ოთწლიანია და სწავლების პერიოდში მათ დაენიშნებათ სტიპენდია. მოსწავლეების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: პირადობის მოწმობის ასლი; ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; სკოლის ატესტატი; მუსიკალური განათლების შემთხვევაში შესაბამისი ატესტატი ან მოწმობა; ჯანმრთელობის ცნობა, ფორმა №100.

სწავლება დაიწყება მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან. განცხადებები მიიღება ყოველდღე, 10-დან 18 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა, მიმდინარე წლის 1 მაისამდე, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, ვიქტორ დოლიძის ქ. №10.

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეიძლება დარეკოთ: (591) 22 88 60.

დიდი იყო და... ასეთად დარჩა

იური ჩხლაძის დაბადების დღეზე

წინა ნიკოლაიშვილი

ყოველივეს ღმერთი იყავი, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვიჭირდა თუ ვიღვინდა. ლხინის გაზიარება ვიყვარდა გარშემოცხოვრების, ჭირისა არა. ბერი ტკივილი და სევდა ჩამარხე გულში. დარდა არ აძლევდი ზემის უფლებას. საღამურის კენესას, სიმღერის ტკბილ-მოვანებას შეურყე მხოლოდ, ლექსებში მიმაბნე იგი. მაგრამ იმდენი სიყვარულიც მოაყოლე, სიყვარულმა დაჩრდილა ყოველივე. მაშინ ნაკლებად ვფიქრობდი ამაზე, რადგან შენ გყავდი. ჰყავდი ადამიანებს, ჩვენს ქალაქს ძალიან დიდი... ასეთად დარჩი.

რა სიტყვა მოესადგება, შენი კეთილკაცობის, გულმადლიანობის აღწერას. შენ სიტყვის ოსტატად იყავი და ადამიანთაშორის ურთიერთობებისაც, ყველასთან მოთბობას განსაკუთრებულად ახერხებდი, ყველასთვის განკუთვნილი გული გქონდა.

ეს სიტბო და სიყვარული გაიხსენეს შენ დაბადების დღეზე, რომელიც ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში გაიმართა. ამ დღის ინიციატორი შენი შვილი ვიორგი იყო, იგი მამის კვალს გაჰყვა და უდღესი ვალდებულებაც აიტვირთა მხრებზე, შენი შვილობა დაიფასოს. სცენარის ავტორი ქეთევან მახინაშვილი გახლდათ.

უკრავდა ძველებურად ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ოღონდ მასწავლებლის ნაცვლად მისი სურათი იყო მათ გვერდით. კვლავზე ისტორიის ამსახველი სურათები იყო გამოფენილი. პერიოდულად ვიდეოკადრები ერთვებოდა. წლების განმავლობაში შექმნილი, თქვენი




წარმატებების ამსახველი, რომელიც შექმნა და აკინძა შენმა მეგობარმა შოთა ცხომელიძემ.

კითხულობდნენ აღზრდილები მასწავლებლის ლექსებს, კითხულობდა საზოგადოების წარმომადგენლები. „სიყვარულს გაჩუქებ, სიცოცხლეს გაჩუქებ“... და შენ, აქ იყავი... მათ გვერდით. შენს ნაკვალევს მოფერნენ: ტრისტან სისარულიძე, მათ თანდღობილი, ვიორა შანიძე, ალექო მამუშვილი, შენი მოძღვრები, ავთანდილ სირბილაშვილი. აღინიშნა, რომ უფრო დიდი და მასშტაბური ღონისძიება უნდა ჩატარდეს, რადგან იური ჩხლაძე ამას იმსახურებს. შეპყრებდნენ შენი ნაშრომის შედეგს, შენს მოსწავლეებს ვიდეოკადრებს, ფოტოსურათებს შენი ახლობლები, მეგობრები, ცრემლიანობას ერთდებოდა ყველა. თითქმის რიდი ჰქონდათ შენი. ატუხული იდგა ბუბოს

გვერდით მისივე სახელის მოზარე, შენი უსაყვარლესი შვილიშვილი ნინიკო. ცრემლებს იბრუნებდა გულში შენი მეუღლე. ნინომ ხომ შენთან ერთად შესწლო ველო საიცრად როულ გზებზე, ეცხოვრა ხელოვანი ადამიანისთვის დამასასიათებელი არაორდინალური ცხოვრებით. ახლა უკვე მას ახრჩობს უშენობის სიმწარე. „ერთ ბედნიერ დღეს სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს... ნუ ატირდები, ნუასოდეს ნუ ატირდები!“... როცა კაცთა მოდების გონება ვერ კიდევ ძნულად სწვდება იმქვეყნური საცხოვრისის ნათელ არსს, რაოდენ ძალა უნდა იდგე, ცისა და მზის სამქვეყნო გამოთხოვებას დღე ბედნიერი უწოდო და გვამდეს, თავად გახლე ცისა და მზის ნაწილი. აქი ამბობდი იმასაც: „მაგრამ, მე უფლის წინაშე ვდგავარ, და არაფრისა არ შემინა.“...

დიდი ტკივილი თურქე მონატრება

(იური ჩხლაძის ხსოვნას)



ადამიანებს გაჩნიათ თურქე ინსტიტუტი: გშმა, გწყურია, გცივა, გიყვარს, გენატრება...

ამ უკანასკნელზე მინდა შეფერდე, როცა საყვარელი ადამიანი ძლიერ გვენატრება. სულს გვიპურებს იმედ-დღეს თუ არა ზვალ, ან უახლოეს მომავალში მოინახულებ მას და ისევ ავისები თბილი სიყვარულით, გულს გაიხარებ მისი სახელოებით, ღმერთი, მასთან საუბრებით..

მაგრამ სხვა ყოფილა, როცა სიკვდილის უღმობლობა გამოგაცლის ხელიდან ჰუმარტ მეგობარს. მონატ-

რების საწინაწინაა იწურები დარდად და მეტი აღარა დავრჩენია რა, თუ არა იმის იმედი, რომ როცა იქნება, შენც გადასახლდები იქურ ტკბილ დაისებში და მაშინ კი გარდაუვალი იქნება მასთან შეხვედრა. მანამდე კი მე და ჩენაირებმა უნდა დავტკეპნოთ ტაძრამდე სავალი, სადაც უშენობას რეკავენ ზარები და საიდანაც ჩვენი ხელით ანთებულმა სანთლებმა უნდა გაეცნათ სასუფეველი.

რას მერჩობი? სმინლად მაკლია შენი სიტბო, შენი სიცოცხლის ხალისი, შენი გული კეთილი. აღარავინ მანებ-ივრებს შენაირად, ძალიან მაკლიხარ „ბაბუ“სისარული! ახლა მხოლოდ უსაშველო სიცარიელე მჩხნობს ყელში, რომელსაც უშენობა ქება.

ჩემო მეგობარო მნატრები უსამელოდ. წახვედი და დამიტოვე მოუნელებელი ტკივილი და ჭრილობები-რომლებიც არ ხორცდებიან; სიცარიელე-რომელსაც ვერავინ და ვერაფერი ამოავსებს; დარდი-რომელსაც უშენობა ჰქვია; სიცოცხლე-რომელსაც დაკარგა ის ზღაბრული სისხსასე, შენი პოეტური პალიტრა რომ ეფერებოდა.

მარტო მე არა! ყველას ძალიან ენატრები, დააქლდი ქალაქს, შენ რომ დიდ-პატარა, უპატრონო-პატრონიან თუ

უპოვარ-უსახლკაროთა ქომაგი და შემცოლდე იყავი. უკანასკნელი ლუკმა, უკანასკნელი თეთრი და სიცოცხლეც კი არ გენანებოდა სხვებისთვის.

შენს მეგობრებს ისეა დავგრჩენია, შენი მწერა ვეებოთ გაზაფხულზე ახლადამოსულ ყვავილებში, ანდა, როცა დასიცხულეები დადლილი ტერფებით ბალახზე გავივლით, მაწის სივრილემ გავგრძნობინოს, რომ ისევ ზრუნავ ჩვენზე, ისევ გიყვარვართ და ძალიან ახლოს ხარ ჩვენთან.

ძალიანი კაცი იყავი და გამორჩეულად არაჩვეულებრივი. მეგობრების და ჩვენი მეგობრობის თავი იყავი. უსაშველოდ დიდი სიყვარული დავებოტევე და ახლა უშენობით დტანჯეულები ერთმანეთს ვანუგეშებთ.

რა უცნაურია არა?! შენ ძილიან სამყაროს გეუქნედი, საბოლოოდ კი ჩემი სიცივით ვარინდული, მარად სიზმრებით და ისევ იგივე კვამლით ვავსილი საფლავის ბორცვი გამოიმეტე ჩვენთვის.

დაბადების დღეს გილოცავ სისხლისფერი ვარდებით ხელში ჩემო მეგობარო! მინდა შენივე სიტყვებით მოგვეგვირო „ზევამ შემოგვგვია ხელები და ჩაგიკრა გულში.“

ნანა პრისტაში.

საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ჩემპიონატი ოზურგეთელი სპორტსმენებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათგან ერთ-ერთმა თემურ კვაჭაძემ 60 კგ. წონით კატეგორიაში მე-3 ადგილი დაიკავა (მწვრთნელი, ალექსანდრე ბოლქვაძე, ოზურგეთის სპორტსკოლის ლიხაურის ფილიალი). მან ოთხი შეხვედრა მოიგო და სპეციალისტების მოწონება დაიმ-

სახურა. მესამე-მეოთხე ადგილისათვის ბრძოლები დათმეს საბა დარჩიამ, გიორგი ჯაფარიძემ, გიორგი ხუჭუამ, კახა ირემამ, ლევან ქავთარაძემ და გოჩა მემანიშვილმა. აღსანიშნავია, რომ დასახელებულმა სპორტსმენებმა სამი წლით უფროსებში იჭიდებენ. ჩემპიონატის პრიზორებს მედლები და თასები გადაეცათ.